სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/64

ქ. თბილისი 23 ივნისი 2021 წ.

„სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №01-05-04/326 დადგენილებით შექმნილ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს „ფიზიკა და მასალათმცოდნეობა“ დასახელების შეცვლის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის შესაბამისად, სტუ-ის რექტორის მოადგილის სამეცნიერო დარგში, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 23 ივნისის №01-05-04/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. „საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №01-05-04/326 დადგენილების პირველი პუნქტით შექმნილ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს „ფიზიკა და მასალათმცოდნეობა“ შეეცვალოს დასახელება და დადგენილების პირველი პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „საინჟინრო ფიზიკა (სადოქტორო პროგრამა „საინჟინრო ფიზიკა“), დანართი 2.“;

2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა დარჩეს უცვლელი, „სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №01-05-04/326 დადგენილებით დამტკიცებულ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის №01-05-04/344 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.
3. „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭება განხორციელდეს სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**